ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 13-24

«31» ოქტომბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

„ქ.თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 7 მარტის №5-5 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ.თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქ.თბილისის საკრებულოს 2014 წლის 7 მარტის #5-5 გადაწყვეტილებაში (სსმ, ვებგვერდი, 11/03/2014; სარეგისტრაციო კოდი:190020020.36.101.016200) და „ქ.თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის საკრებულოს 2014 წლის 7 მარტის N5-5 გადაწყვეტილებაში:

ა) მე-12 მუხლში „უსახლკაროთა თავშესაფარის“ (კოდი 6.2.21) ქვეპროგრამა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6.2.21 მიუსაფარ პირთა თავშესაფრის მოვლა-პატრონობა

ქვეპროგრამის მიზანია მიუსაფარი პირების თავშესაფრის ფუნქციონირების ხელშეწყობა, რაც ითვალისწინებს მიუსაფარი პირების თავშესაფრით უზრუნველყოფას, მათი საბაზისო (საყოფაცხოვრებო) საჭიროებების (კვება, გათბობა, პირადი ჰიგიენის ნივთები, ტანსაცმელი) დაკმაყოფილებას, პირველადი სამედიცინო მომსახურების (ამბულატორიული, მედიკამენტები) გაწევას, სოციალური მუშაკების

შრომის ანაზღაურებას, მიუსაფარი პირებისათვის განთავსების ადგილებში სათანადო მომსახურების მიწოდებას.“

ბ) მე-13 მუხლში „უსახლკაროთა თავშესაფარის“ (კოდი 6.2.21) ქვეპროგრამას შეეცვალოს დასახელება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	დასახელება	2013 წლის გეგმა	2014 წლის გეგმა
6.2.21	მიუსაფარ პირთა თავშესაფრის მოვლა-პატრონობა	-	1 000,0
2	ხარჯები	-	955,0
22	საქონელი და მომსახურება	-	15,0
27	სოციალური უზრუნველყოფა	-	940,0
31	არაფინანსური აქტივები	-	45,0

2. ეს დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**

განმარტებითი ბარათი

„ქ.თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 7 მარტის #5-5 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2014 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილება განპირობებულია იმით, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში მიუსაფარი პირების დახმარების მიზნით გასატარებელი გადაუდებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 24 ოქტომბრის #1918 განკარგულების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ეთხოვა არაუგვიანეს 2014 წლის 10 ნოემბრისა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მიუსაფარ პირთა პრობლემებზე მომუშავე დროებითი კომისიის შექმნა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში მიუსაფარი პირების დახმარების მიზნით გასატარებელი გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელება, რათა მოხდეს მოსკოვის გამზირზე არსებული მიუსაფართა თავშესაფრის უწყვეტი ფუნქციონირების ხელშეწყობა, ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე მუდმივმოქმედი თავშესაფრის სრულად ამოქმედებამდე.

ზემო აღნიშნულის და ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წინადადების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად ჩაითვალა მოსკოვის გამზირზე არსებული მიუსაფართა თავშესაფრის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მმართველობაში გადმოცემასთან დაკავშირებით, ქვეპროგრამის სახელწოდების, მიზნისა და აღწერის ცვლილება. კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტში „უსახლკაროთა თავშესაფარი“-ს ქვეპროგრამას (კოდი 6.2.21) შეეცვალოს სახელწოდება - **მიუსაფარ პირთა თავშესაფრის მოვლა-პატრონობა (კოდი 6.2.21).**

ქვეპროგრამის მიზანია მიუსაფარი პირების თავშესაფრის ფუნქციონირების ხელშეწყობა, რაც ითვალისწინებს მიუსაფარი პირების თავშესაფრით უზრუნველყოფას, მათი საბაზისო (საყოფაცხოვრებო) საჭიროებების (კვება, გათბობა, პირადი ჰიგიენის ნივთები, ტანსაცმელი) დაკმაყოფილებას, პირველადი სამედიცინო მომსახურების (ამბულატორიული, მედიკამენტები) გაწევას, სოციალური მუშაკების შრომის ანაზღაურებას, მიუსაფარი პირებისათვის განთავსების ადგილებში სათანადო მომსახურების მიწოდებას.